

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:</p> <p>2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1 საქართველოს კანონის პროექტი „სამრეწველო ემისიების შესახებ“;</p> <p>№2 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;</p> <p>№3 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 მარტის №12 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ“.</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

1	<p>წინამდებარე დირექტივა ადგენს წესებს სამრეწველო საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის შესახებ.</p> <p>ის ასევე ადგენს იმ წესებს, რომლებიც მიზნად ისახავენ თავიდან აიცილონ, ან სადაც ეს განხორციელებადი არ არის, შეამცირონ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში ემისია და ნარჩენების წარმოქმნა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას გარემოს, როგორც მთლიანობის დაცვის მაღალი დონე.</p>				<p>ას</p> <p>„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ (შემდგომში - ასოცირების შესახებ შეთანხმება) XXVI დანართით პირდაპირაა განსაზღვრული რიგი მუხლებისა და დანართებისა, რომელთანაც დაახლოება სავალდებულოა საქართველოსთვის, შესაბამისი ვადების მითითებით, რომელიც უნდა აითვალოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან, დროებითი გამოყენების რეჟიმის გათვალისწინებით, რაც კონკრეტული დანართის მიმართებით წარმოადგენს 2014 წლის 1 სექტემბრიდან პერიოდს. სავალდებულოდ დასაახლოებელია დირექტივის შემდეგი მუხლები: 4-6, 8, 12, 14(1)(d), 17(2), 21, 23(1) და 24; ასევე დანართები: I დანართის - 6(3); 6(4); 6(6) პუნქტები და IV დანართი. მუხლებისთვის 14 (3-6), 15 (2-4), 30, 32 და დანართისთვის V - დაახლოების ვადაა 12 წელი. სავალდებულოა ასევე ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა.</p>
---	--	--	--	--	--

2	<p>1. წინამდებარე დირექტივა გამოიყენება იმ სამრეწველო საქმიანობების მიმართ, რომლებიც იწვევენ დაბინძურებას გათვალისწინებულს მე-2-მე-6 თავებში.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივა არ გამოიყენება ახალი პროდუქტების შემოწმებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობების, განვითარების საქმიანობებისა ტესტირების მიმართ.</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
3.	<p>1. წინამდებარე დირექტივების მიზნებისათვის შემდეგი განმარტებები გამოიყენება:</p> <p>„ნივთიერება“ გულისხმობს ნებისმიერ ქიმიურ ელემენტს და მის შენაერთს, გარდა შემდეგი ნივთიერებებისა:</p> <p>a. რადიაქტიული ნივთიერებები, როგორც განსაზღვრულია 1996 წლის 13 მაისის საბჭოს 96/29/Euratom დირექტივის 1-ლი მუხლით, რომელიც ადგენს უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს დასაქმებულებისა და ზოგადად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისთვის იონიზაციის რადიაციის შედეგად წარმოშობილი საფრთხის წინააღმდეგ;</p> <p>b. გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკრო-ორგანიზმები, როგორც განსაზღვრულია 2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/41/EC</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

<p>დირექტივის გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკრო-ორგანიზმების შეზღუდული გამოყენების შესახებ 2(b) მუხლით;</p> <p>c. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 12 მარტის 2001/18/EC დირექტივის მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ გაშვების შესახებ 2(2) მუხლით განსაზღვრული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები;</p> <p>2. „დაბინძურება“ გულისხმობს ადამიანის საქმიანობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნივთიერებების, ვიბრაციების, სითბოს ან ხმაურის ჰაერში, წყალში ან ნიადაგში გაშვებას, რაც შესაძლოა საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან გარემოს მდგომარეობისთვის მატერიალური საკუთრებისთვის ზიანის მიყენებით ან ხელსაყრელი პირობების შესუსტებით ან ხელის შეშლით, ასევე გარემოს სხვა ლეგიტიმურ გამოყენებას;</p> <p>3. „მოწყობილობა“ გულისხმობს უძრავ ტექნიკურ ერთეულს, რომელშიც დანართი I ან დანართი VII-ის 1-ლ ნაწილში მოცემული ერთი ან მეტი მოქმედებები სრულდება, ასევე იმავე ადგილას ნებისმიერი სხვა პირდაპირ დაკავშირებული მოქმედებები, რომლებიც ტექნიკურად დაკავშირებულნი არიან აღნიშნულ დანართებში მოცემულ</p>				
---	--	--	--	--

<p>საქმიანობებთან და რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ემისიებსა და დაბინძურებაზე;</p> <p>4. „ემისია“ გულისხმობს მოწყობილობების ინდივიდუალური ან დიფუზიური წყაროებიდან ნივთიერებების, ვიბრაციების, სითბოს ან ხმაურის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოყოფას ჰაერში, წყალში ან ნიადაგზე;</p> <p>5. „ემისიის ზღვრული რაოდენობა“ გულისხმობს ემისიის კონკრეტული პარამეტრებით გამოხატულ მასას, კონცენტრაციას ან/და დონეს, რომელსაც არ უნდა გადააჭარბოს დროის ერთი ან მეტი მონაკვეთის განმავლობაში;</p> <p>6. „გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტი“ გულისხმობს მოთხოვნების ნაკრებს, რომელიც უნდა შესრულდეს მოცემულ დროში კონკრეტული გარემოს ან მისი განსაკუთრებული ნაწილის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია კავშირის სამართლით;</p> <p>7. „ნებართვა“ გულისხმობს მოწყობილობის ან წვის ქარხნის, ნარჩენების საწვავი ქარხნის ან ნარჩენების თანაწვის ქარხნის მთლიანი ან ნაწილობრივი ამუშავების შესახებ წერილობით ავტორიზაციას;</p>				
--	--	--	--	--

<p>8. „ზოგადი მზოქავი წესები“ გულისხმობს ემისიის ზღვრულ რაოდენობას ან სხვა პირობებს, სულ მცირე სექტორულ დონეზე, რომლებიც მიღებულია იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას უშუალოდ ნებართვის პირობების დადგენისათვის;</p> <p>9. „არსებითი ცვლილება“ გულისხმობს ცვლილებას მოწყობილობის ან საწვავი ქარხნის, ნარჩენების საწვავი ქარხნის ან ნარჩენების თანაწვის ქარხნის ბუნებაში, ფუნქციონირებაში ან მოცულობაში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე;</p> <p>10 „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა“ გულისხმობს მოქმედებების განვითარებისა და მათი განხორციელების მეთოდების ყველაზე ეფექტიან და განვითარებულ ეტაპს, რომელიც ადასტურებს კონკრეტული ტექნოლოგიების პრაქტიკულ შესაბამისობას ემისიის ზღვრული რაოდენობებითა და ნებართვის სხვა პირობებით უზრუნველსაყოფად, რომლებიც მიზნად ისახავენ ემისიების და გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას, ან სადაც ეს შეუძლებელია, შემცირებას :</p>				
---	--	--	--	--

<p>a. „ტექნიკა“ მოიცავს როგორც გამოყენებულ ტექნოლოგიას და ასევე იმ საშუალებას, რომლითაც მოწყობილობებია დაგეგმილი, აშენებული, შენახული, ამოქმედებული და დეკომისირებული;</p> <p>b. „ხელმისაწვდომის ტექნიკა“ გულისხმობს იმ დონეზე განვითარებულ ტექნიკას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას შესაბამის სამრეწველო სექტორში ეკონომიკური და ტექნიკური პირობების ქვეშ ღირებულებებისა და მოგების მხედველობაში მიღებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ტექნიკა წარმოებული ან გამოყენებულია წევრი სახელმწიფოს შიგნით თუ არა, მანამ, სანამ ისინი საქმიანობის განმახორციელებლისთვის გონივრულად ხელმისაწვდომია;</p> <p>c. „საუკეთესო“ გულისხმობს გარემოს, როგორც ერთი მთლიანობის დაცვის ზოგადი მაღალი დონის მისაღწევად ყველაზე ეფექტიანს;</p> <p>11. “BAT დამოწმებული დოკუმენტი“ გულისხმობს მე-13 მუხლის შესაბამისად წარმოებული ინფორმაციის გაცვლის შედეგად მიღებულ დოკუმენტს, რომელიც შედგენილია განსაზღვრული მოქმედებებისთვის და გამოყენებულია ტექნიკების აღწერისთვის, წარმოადგენს ემისიებსა და მოხმარების დონეებს,</p>				
--	--	--	--	--

<p>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრისთვის განკუთვნილ ტექნიკებს, ასევე BAT დასკვნებსა და ნებისმიერ წარმოშობილ ტექნიკებს, განსაკუთრებით III დანართში მოცემული კრიტერიუმის მხედველობაში მიღებით;</p> <p>12. “BAT დასკვნები“ გულისხმობს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს BAT დამოწმებული დოკუმენტის ნაწილებს, რომლებიც ადგენენ დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე, მათ აღწერილობებს, მათი გამოყენებადობის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას, ხელმისაწვდომ საუკეთესო ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეს, დაკავშირებულ მონიტორინგს, მოხმარების დონეს და სადაც აუცილებელია, შესაბამისი ადგილის აღდგენის ზომებს;</p> <p>13. „ხელმისაწვდომ საუკეთესო ტექნიკასთან დაკავშირებული ემისიის დონე“ გულისხმობს ემისიების დონეების ნაირსახეობას, რომლებიც გამოიყოფა ხელმისაწვდომი საუკეთესო ტექნიკის ან ხელმისაწვდომი საუკეთესო ტექნიკის კომბინაციის გამოყენების შედეგად განხორციელებული მოქმედების ნორმალური პირობების დროს, როგორც ეს აღწერილია BAT დასკვნებში, რომელიც გამოხატულია საშუალოდ მოცემული</p>				
---	--	--	--	--

<p>დროის განმავლობაში კონკრეტული პირობების შესაბამისად;</p> <p>14. „აღმოცენებული ტექნიკა“ გულისხმობს სამრეწველო საქმიანობისთვის განკუთვნილ ახალ ტექნიკას, რომელსაც, თუკი კომერციულად განვითარებულია, შეუძლია უზრუნველყოს გარემოს დაცვის უფრო მაღალი ზოგადი დონე ან სულ მცირე გარემოს დაცვის იგივე დონე და უფრო მეტი თანხის დაზოგვა არსებულ ხელმისაწვდომ საუკეთესო ტექნიკებთან შედარებით;</p> <p>15. „საქმიანობის განმახორციელებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ან აკონტროლებს მოწყობილობას ან საწვავ ქარხანას, ნარჩენების საწვავ ქარხანას ან ნარჩენების თანაწვის ქარხანას ან, თუ ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილია, ვისაც მოწყობილობის ან ქარხნის ტექნიკურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი ეკონომიკური ძალაუფლება გადაეცა;</p> <p>16. „საზოგადოება“ გულისხმობს ერთ ან მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, მათ</p>					
---	--	--	--	--	--

<p>გაერთიანებებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს;</p> <p>17. „დაინტერესებული საზოგადოება“ გულისხმობს საზოგადოებას, რომელზეც გავლენა მოახდინა ან შესაძლოა მოახდინოს ნებართვის ან ნებართვის პირობების განახლების ან გაცემის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ; ამ განმარტების მიზნებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უნდა მიიჩნეოდნენ დაინტერესებულად;</p> <p>18. „საშიში ნივთიერებები“ გულისხმობს ნივთიერებებს ან ნარევეებს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის 1272/2008 რეგულაციის ნივთიერებებისა და ნარევეების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ მე-3 მუხლით;</p> <p>19. „საწყისი მოხსენება“ გულისხმობს ინფორმაციას ნიადაგის ან მიწისქვეშა წლის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც დაბიძნურებულია შესაბამისი საშიში ნივთიერებებით;</p> <p>20. „მიწისქვეშა წყალი“ გულისხმობს მიწისქვეშა წყალს, როგორც ეს</p>					
--	--	--	--	--	--

<p>განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/EC დირექტივის წყლის პოლიტიკის სფეროში გაერთიანების მოქმედების ჩარჩოს დადგენის შესახებ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით;</p> <p>21. „ნიადაგი“ გულისხმობს დედამიწის გარსის ზედა ფენას, რომელიც მდებარეობს ქვის ფენასა და ზედაპირს შორის. ნიადაგი შედგება მინერალების ნაწილაკების, ორგანული ნივთიერების, წყლის, ჰაერის და ცოცხალი ორგანიზმებისგან;</p> <p>22. „გარემოსდაცვითი შემოწმება“ გულისხმობს ყველა ქმედებას, მათ შორის ადგილის მონახულებას, ემისიების მონიტორინგს, შიდა მოხსენებებისა და თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას, თვითმონიტორინგის, გამოყენებული ტექნიკებისა და გარემოს მართვის მოწყობილობების ადეკვატურობის შემოწმებას, რომელიც ხორციელდება კომპეტენტური ორგანოს მიერ ან სახელით იმისთვის რომ გამოკვლევულ იქნას და ხელი შეეწყოს ნებართვის პირობებთან მოწყობილობების შესაბამისობას და თუკი საჭიროა მათ მიერ გარემოს ზემოქმედების მონიტორინგი.</p> <p>23. “შინაური ფრინველი“ გულისხმობს შინაურ ფრინველს როგორც ეს განსაზღვრულია საბჭოს 1990 წლის 15</p>					
--	--	--	--	--	--

<p>ოქტომბრის 90/539/EEC დირექტივის, ცხოველთა ჯანმრთელობის პირობებზე, რომელიც ეხება შინაური ფრინველით ვაჭრობას და იმპორტს მესამე სახელმწიფოებიდან და კვერცხიდან გამოჩეკვას, მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტში;</p> <p>24. „საწვავი“ გულისხმობს ნებისმიერი მყარი, თხევადი და გაზის სახის საწვავ მასალას;</p> <p>25 „საწვავი ქარხანა“ გულისხმობს ნებისმიერ ტექნიკურ მოწყობილობას, რომელშიც საწვავი ოქსიდირდება იმისთვის რომ წარმოებული სითბო იქნეს გამოყენებული;</p> <p>26. „stack“ გულისხმობს მოწყობილობას, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ საკვამურის მილს, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების გაზების ჰაერში გამოთავისუფლებას;</p> <p>27. „მოქმედების საათები“ გულისხმობს საათებით გამოხატულ დროს, რომლის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივს მუშაობს ქარხანა და გამოყოფს ემისიებს ჰაერში, გარდა დაწყების და დასრულების პერიოდებისა;</p> <p>28. „დესულფურიზაციის რაოდენობა“ გულისხმობს თანაფარდობას მოცემული</p>				
---	--	--	--	--

<p>დროის განმავლობაში გოგირდის იმ რაოდენობისას, რომელიც არ გამოიყო ჰაერში საწვავის ქარხნის მიერ მყარი საწვავის შემცველი გოგირდის იმ რაოდენობასთან, რომელიც წარმოებულია საწვავის ქარხნის მოწყობილობებში და რომელიც გამოყენებულია ქარხანაში იგივე დროის განმავლობაში;</p> <p>29. „ბუნებრივი მყარი საწვავი“ გულისხმობს ბუნებრივ მყარ საწვავს, რომელიც იწვის სპეციალურად ამ სახის საწვავისთვის შექმნილ ქარხანაში და მოპოვებულია ადგილობრივად;</p> <p>30. „გადამწვეტი საწვავი“ გულისხმობს საწვავს, რომელიც გამოყენებულია ნარჩენების დესტილაციისა და კონსერვაციისთვის საწვავი ქარხნის მიერ დასაწვავად გამოყენებულ საწვავს შორის, თავისთავად ან სხვა საწვავთან ერთად, აქვს ემისიის ყველაზე მაღალი ზღვრული რაოდენობა მოცემული V დანართის პირველ ნაწილში, ან თუ რამდენიმე საწვავს აქვს ემისიის ერთი და იგივე ზღვრული რაოდენობა, ამ საწვავებს შორის იმ საწვავისა, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი თერმული შენატანი;</p> <p>31. „ბიომასა“ გულისხმობს ჩამოთვლილიდან ნებისმიერს:</p>					
--	--	--	--	--	--

<p>a. პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ნებისმიერ ბოსტნეულს სოფლის ან სატყევე მეურნეობიდან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საწვავი, მისი ენერგოშემადგენლობის აღდგენის მიზნით;</p> <p>b. შემდეგი ნარჩენები:</p> <p>i. ბოსტნეულის ნარჩენები სოფლის ან სატყევე მეურნეობიდან;</p> <p>ii. ბოსტნეულის ნარჩენების საკვების დამუშავების მრეწველობიდან, თუ წარმოებული სითბო აღდგენილია;</p> <p>iii. ბოსტნეულის ბოჭკოვანი ნარჩენები, რომელიც მიღებულია რბილობის წარმოებისა და ფურცლის წარმოების შედეგად, თუკი ის წარმოების ადგილზეა დამწვარი და თუ წარმოებული სითბო აღდგენილია;</p> <p>iv. cork ნარჩენები;</p> <p>v. ხის ნარჩენები, გარდა იმ ნარჩენებისა, რომლებიც შესაძლოა შეიცავდნენ ხის დამცავი ან დაფარვის საშუალებების დამუშავების პროცესის შედეგად მიღებულ ჰალოგენიზებულ ორგანულ ნაერთებს ან მძიმე მეტალებს და რომლებიც შეიცავენ კონკრეტულად ხის იმ ნარჩენებს, რომლებიც წარმოიქმნება</p>				
---	--	--	--	--

<p>მშენებლობის და ნარჩენების განადგურების შედეგად;</p> <p>32. „მრავალჯერადისაწვავის დასამუშავებელი ქარხანა“ გულისხმობს ნებისმიერ წვის ქარხანას რომელსაც შეუძლია ერთდროულად ან ალტერნატიულად დაამუშავოს ორი ან მეტი სახის საწვავი;</p> <p>33. „გაზის ტურბინა“ გულისხმობს ნებისმიერ მბრუნავ მანქანას, რომელიც თერმულ ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ სამუშაოდ. ის ძირითადად შედგენა კომპრესორისგან, თერმული მოწყობილობისგან, რომელშიც საწვავის ოქსიდირება ხდება სითხის გათბობის მიზნით და ტურბინას;</p> <p>34. „გაზის ძრავა“ გულისხმობს შიდა საწვავ ძრავას, რომელიც მუშაობს Otto-ს ციკლის შესაბამისად და იყენებს ნაპერწკლის აალებას ან ორმაგი საწვავი ძრავის შემთხვევაში, კომპრესიას საწვავის დასაწვავად;</p> <p>35. „დიზელის ძრავა“ გულისხმობს შიდა საწვავ ძრავას, რომელიც მუშაობს დიზელის ციკლის შესაბამისად და იყენებს კომპრესირებას საწვავის დასაწვავად;</p> <p>36. „პატარა იზოლირებული სისტემა“ გულისხმობს პატარა იზოლირებულ</p>				
---	--	--	--	--

<p>სისტემას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 26 ივნისის 2003/54/EC დირექტივის, ელექტროობის შიდა ბაზარზე ზოგადი წესების შესახებ მე-2 მუხლის 26-ე პუნქტში;</p> <p>37. „ნარჩენი“ გულისხმობს ნარჩენს როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის ნარჩენების შესახებ 2008/98/EC დირექტივის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში;</p> <p>38. „საშიში ნარჩენები“ გულისხმობს საშიშ ნარჩენებს როგორც ეს განსაზღვრულია 2008/98/EC დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში;</p> <p>39. „შერეული ადგილობრივი ნარჩენები“ გულისხმობს საოჯახო მეურნეობის ასევე კომერციულ, სამრეწველო და ინსტიტუციურ ნარჩენებს, რომელიც თავისი ბუნებისა და შემადგენლობის გამო არის საოჯახო მეურნეობიდან მიღებული ნარჩენების მსგავსი, მაგრამ გარდა 2000/532/EC გადაწყვეტილების 20 01 დანართში განსაზღვრული ნაწილებისა, რომელიც შეგროვებულია წყაროდან გამოყოფილად და გარდა ამ დანართის 20 02-ში განსაზღვრული სხვა ნარჩენებისა;</p>				
--	--	--	--	--

<p>40. „ნარჩენების საწვავი ქარხანა“ გულისხმობს ნებისმიერი უძრავ ან მოძრავ ტექნიკურ ერთეულს და მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის ნარჩენების ოქსიდირების საშუალებით ასევე სხვა ტერმული დამუშავების გზით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმის დამუშავება, თუ კი დამუშავების შემდეგ მიღებული ნივთიერებები შემდგომში დაიწვება;</p>				
<p>41. „ნარჩენების თანაწვის ქარხანა“ გულისხმობს ნებისმიერ უძრავ ან მოძრავ ტექნიკურ ერთეულს, რომლის მთავარი მიზანია ენერჯის ან მატერიალური პროდუქტების წარმოება და რომელიც იყენებს ნარჩენებს როგორც რეგულარულ ან დამატებით საწვავად ან რომელშიც ნარჩენები არის თერმულად დამუშავებული გადაყრის მიზნით ნარჩენების ოქსიდაციის გზით ასევე თერმული დამუშავების სხვა პროცესები, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმის დამუშავება, თუ დამუშავების შემდეგ მიღებული ნივთიერებები შემდგომში დაიწვება;</p>				
<p>42. „ნომინალური სიძლიერე“ გულისხმობს იმ ღუმელების წვის მოცულობის რაოდენობას, რომლებშიც ნარჩენების წვის ან თანაწვის ქარხანა იქმნება, კონსტრუქტორის ან დანიშნული ოპერატორის მიერ, ნარჩენების სითბური</p>				

<p>ღირებულების მხედველობაში მიღებით, რომელიც გამოიხატება ყოველ საათში დამწვარი ნარჩენების რაოდენობით;</p> <p>43. „დიოქსინი და ფურანი“ გულისხმობს ყველა პოლიქრონულ დიბენზო-პი-დიოქსინს და დიბენზოფურანს, რომელიც ჩამოთვლილია მე-6 დანართის მე-2 ნაწილში;</p> <p>44. „ორგანული შენაერთები“ გულისხმობს ნებისმიერ შენაერთს, რომელიც შეიცავს სულ ცოტა ნახშირჟანგის ელემენტს და ერთ ან მეტ ჰიდროგენს, ჰალოგენს, ჟანგბადს, გოგირდს, ფოსფორს, სილიკონს ან აზოტს, გარდა ნახშირჟანგის დიოქსიდსა და არაორგანულ კარბონატებსა და ბიკარბონატებს;</p> <p>45. „არამდგრადი ორგანული შენაერთი“ გულისხმობს ნებისმიერ ორგანულ შენაერთს ასევე კრეოზოტის ნაწილს, რომელსაც აქვს 293,15 k 0.01 kpa ან მეტი ორთქლის წნევა ან აქვს შესაბამისი არამდგრადობა გამოყენების კონკრეტული პირობების დროს;</p> <p>46. „ორგანული გამხსნელი“ გულისხმობს ნებისმიერ არამდგრად ორგანულ ნაერთს, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი შემდეგისთვის:</p> <p>a. დამოუკიდებლად ან სხვა საშუალებასთან ერთად და ქიმიური</p>				
--	--	--	--	--

<p>ცვლილების გარეშე, გადაუმუშავებელი მასალის, პროდუქტების ან ნარჩენების გასახსნელად;</p> <p>b. როგორც მინარევის გასახსნელი გამწმენდი საშუალება;</p> <p>c. როგორც გამხსნელი;</p> <p>d. როგორც დისპერსიის საშუალება;</p> <p>e. როგორც სიბლანტის მარეგულირებელი</p> <p>f. როგორც ზედაპირის დაჭიმულობის დასარეგულირებელი;</p> <p>g. როგორც დამარბილებელი;</p> <p>h. როგორც დამცავი;</p> <p>47. „დაფარვა“ გულისხმობს დაფარვას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/42/EC დირექტივის, არამდგრადი ორგანული ნაერთების ემისიების შეზღუდვის შესახებ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტში;</p>				
--	--	--	--	--

<p>4.1</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა დარწმუნდნენ რომ არც ერთი მოწყობილობა ან წვის ან თანაწვის ქარხანა არ მუშაობს ნებართვის გარეშე.</p> <p>პირველი ქვეპუნქტიდან გადახვევისთვის წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაადგინონ პროცედურა მოწყობილობების რეგისტრაციისთვის, რომელსაც მოიცავს მხოლოდ V თავი.</p> <p>რეგისტრაციის პროცედურა განსაზღვრული იქნება სავალდებულო მოქმედებით და მოიცავს სულ ცოტა კომპეტენტური ორგანოსთვის შეტყობინებას საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, რომელიც განიზრახავს მოწყობილობის გამოყენებას.</p>	<p>N1</p> <p>N1</p>	<p>4.1</p> <p>11.1</p> <p>11.2</p>	<p>1. ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელება დაუშვებელია ინტეგრირებული ნებართვის გარეშე.</p> <p>1. განაცხადი ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად (შემდგომში - განაცხადი) და თანდართული დოკუმენტაცია სააგენტოს წარედგინება ელექტრონული ფორმით.</p> <p>2. განაცხადი, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, უნდა მოიცავდეს შემდეგს:</p> <p>ა) ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);</p> <p>ბ) ინფორმაცია საქმიანობისა და გამოყენებული მოწყობილობა/დანადგარების შესახებ;</p> <p>გ) ინფორმაცია ნედლეულის, დამხმარე და სხვა მასალების, ასევე მოხმარებული/წარმოებული ენერჯის შესახებ;</p> <p>დ) ინფორმაცია ემისიის წყაროების, პროგნოზირებადი ემისიებისა და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ;</p>	<p>სშ</p>
------------	--	---------------------	------------------------------------	---	-----------

		<p>ე) ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საბაზისო ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>ვ) ინფორმაცია შემოთავაზებული ტექნოლოგიის შესახებ, მათ შორის, ემისიების პრევენციის, ან სადაც ეს შეუძლებელია - შემცირებისთვის გამოყენებული ტექნიკის შესახებ;</p> <p>ზ) ნარჩენების მართვის საკითხები, მათ შორის, ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის, ნარჩენების ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებები;</p> <p>თ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმ სხვა დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც იგეგმება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით;</p> <p>ი) გარემოში ემისიების მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები;</p> <p>კ) შეთავაზებული ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ღონისძიებების განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივები;</p> <p>ლ) საქმიანობის შეწყვეტისას საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენასთან, რემედიაციასთან და შემდგომ</p>	
--	--	--	--

				მოვლასთან დაკავშირებული შეთავაზებული ღონისძიებები; მ) ამ პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკური რეზიუმე.		
4.2	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან რომ ნებართვა მოიცავდეს ორი ან მეტი მოწყობილობის ან მათი ნაწილების გამოყენებას საქმიანობის იმავე განმხორციელებლის მიერ იმავე ადგილზე.  სადაც ნებართვა მოიცავს ორ ან მეტ მოწყობილობას, ის უნდა შეიცავდეს იმ პირობებს, რათა მოხდეს იმის უზრუნველყოფას, რომ ყოველი მოწყობილობა შეესაბამება წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს.	N1	11.7	7. ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს 5000 ლარს (დაჩქარებული წესით მომსახურების საფასური - 2500 ლარი). განაცხადის განხილვაზე და საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევებში გადახდილი მოსაკრებელი უკან არ ბრუნდება. მომსახურების გაწევის საფასურის გადახდისა და მისი დაბრუნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.	სშ	
4.3	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან რომ ნებართვა მოიცავდეს მოწყობილობის რამდენიმე ნაწილს, რომელიც გამოიყენება საქმიანობის სხვადასხვა განმხორციელებლის მიერ. ამ				შ	დირექტივის მუხლი შინაარსიდან გამომდინარე მიუთითებს შესაძლებლობაზე და არა ვალდებულებაზე, ამასთანავე ეხება წევრ ქვეყნებს.

	შემთხვევებში, ნებართვა უნდა აყალიბებდეს საქმიანობის ყოველი შემსრულებლის პასუხისმგებლობებს.					
5.1	ევროკავშირის ან ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული სხვა მოთხოვნებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გასცეს ნებართვა თუ მოწყობილობა წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.	N1	15.1	1. თუ საქმიანობა აკმაყოფილებს ამ კანონის და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს, სააგენტო ინტეგრირებულ ნებართვას გასცემს განაცხადის დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 120 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - 80 სამუშაო დღის ვადაში), ხოლო ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას – იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.	სშ	
5.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნებართვის პირობები და მისი გაცემის პროცედურების სრულად კოორდინირება, სადაც ჩართულია ერთზე მეტი კომპეტენტური ორგანო ან საქმიანობის ერთზე მეტი შემსრულებელი ან თუ ერთზე მეტი ნებართვა არის გაცემული, ყველა უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან გარანტირებულ იქნეს ეფექტური ინტეგრაცია.	N1	14.9	9. სააგენტო ინტეგრირებული ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებაში, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილი წესით.	სშ	
5.3	ახალი მოწყობილობის ინსტალაციის ან არსებითი ცვლილების შემთხვევაში, სადაც	N2	7.4	4. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი	სშ	დირექტივა 85/337/EC გაუქმებულია და ჩანაცვლებულია დირექტივით

<p>85/337/EEC დირექტივის მე-4 მუხლი გამოიყენება, ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც მიიღება ამ დირექტივის მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 მუხლების შესაბამისად უნდა იყოს შემოწმებული და გამოყენებული ნებართვის გაცემის მიზნით.</p>		<p>სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს:</p> <p>ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;</p> <p>ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;</p> <p>გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.</p>	<p>2011/92, რომლის დაახლოება ქვეყანამ მოახდინა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში. აღნიშნული კოდექსი, დირექტივის შესაბამისად განსაზღვრავს იმ საქმიანობების ჩამონათვალს, რომელიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ითვალისწინებს აღნიშნული შეფასებისგან გათავისუფლების საფუძვლებს და პროცედურებს.</p>
---	--	--	--

		N2	7. 4 <sup>1</sup>	<p>4<sup>1</sup>. სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.</p>		
		N2	7.6	<p>6. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:</p> <p>ა) საქმიანობის მახასიათებლები:</p> <p>ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;</p> <p>ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;</p>		

			<p>ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;</p> <p>ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;</p> <p>ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;</p> <p>ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;</p> <p>ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:</p> <p>ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;</p> <p>ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;</p> <p>ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;</p> <p>ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;</p> <p>ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;</p> <p>ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;</p>	
--	--	--	---	--

				<p>ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);</p> <p>გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:</p> <p>გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;</p> <p>გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.</p> <p>4. 1. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საქართველოს მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება:</p> <p>ა) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>ბ) სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის</p>	
--	--	--	--	--	--

		<p>განხორციელების ვადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>გ) სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე გზშ-ისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>დ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.</p> <p>2. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:</p> <p>ა) გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;</p> <p>ბ) გზშ-ისგან გათავისუფლების შესახებ წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;</p> <p>გ) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების</p>	
--	--	---	--

		<p>შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ წინადადებების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;</p> <p>დ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და საზოგადოების ჩართულობის მიზნით სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და მასში დაცული ინფორმაციის უსაფრთხოების, საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>3. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:</p> <p>ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ისადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის პროცესში სკოპინგის</p>	
--	--	---	--

		<p>განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა და სკოპინგის დასკვნის გაცემა;</p> <p>გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება;</p> <p>დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის საჯაროობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>4. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება:</p> <p>ა) სკრინინგის პროცედურის საფუძველზე გზშ-ისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა;</p> <p>ბ) გზშ-ისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემა;</p> <p>გ) გზშ-ის ანგარიშის, სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის</p>	
--	--	--	--

		<p>მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნა;</p> <p>დ) გზშ-ის ანგარიშისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ანგარიშის განხილვა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა და სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა, აგრეთვე საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>ე) გზშ-ისგან გათავისუფლების შესახებ წინადადების მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა;</p> <p>ვ) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ წინადადებების მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა, აგრეთვე შესაბამისი პროცედურების ორგანიზება;</p>	
--	--	---	--

				<p>ზ) ამ კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>თ) ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვის ჩატარების უზრუნველყოფა.</p>	
		N2	38.1 ,2	<p>1. თუ არსებობს ამ კოდექსის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული საფუძველი და საქმიანობის/სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ შესაძლებელია გარემოზე მოახდინოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება, რომელიც იდენტიფიცირებულია საქმიანობის განმახორციელების, დამგეგმავი ორგანოს, სააგენტოს ან/და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიერ, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა გამოსცემს</p>	

			<p>საქმიანობის/სტრატეგიული დოკუმენტის გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს ვალდებულება, სააგენტოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით წარუდგინოს შესაბამისი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული ეგზემპლარები, რომელიც შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაექვემდებაროს, და ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადა. საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენამდე საქართველოს მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ.</p>		
--	--	--	---	--	--

		N2	<p>13.</p> <p>2. საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი დოკუმენტაციის წარდგენისთანავე სააგენტო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, 7 დღის ვადაში უგზავნის ამ დოკუმენტაციას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოს და ატყობინებს მას საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ გონივრულ ვადას, რომელშიც ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს სააგენტოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის შესახებ.</p> <p>1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა მოიცავდეს:</p> <p>ა) ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილისა და საქმიანობის სახის შესახებ;</p>	
--	--	----	--	--

			<p>ბ) ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის გაცემის დროს;</p> <p>გ) პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ;</p> <p>დ) ინფორმაციას საქმიანობის შემდგომი ანალიზის მიზნის, მასშტაბისა და პერიოდულობის შესახებ;</p> <p>ე) ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებით ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების შემთხვევაში – ინფორმაციას აღნიშნული პროცედურის შედეგების შესახებ.</p> <p>2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს:</p>	
--	--	--	---	--

			<p>ა) მოთხოვნებს საწარმოო ავარიის შედეგად ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად;</p> <p>ბ) საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ვალდებულებას ან/და შესაბამისი კომპენსაციის ვალდებულებას;</p> <p>გ) ამ კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო ღონისძიებებს ან/და შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე პირთან შეთანხმების საფუძველზე დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. საკომპენსაციო ღონისძიებების ბენეფიციარია აღნიშნული პირი;</p> <p>დ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	
--	--	--	---	--

				<p>3. სააგენტო ვალდებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში ასახოს ინფორმაცია:</p> <p>ა) საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;</p> <p>ბ) ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინების შესახებ;</p> <p>გ) გზშ-ის ანგარიშში მოცემული შეფასებების გათვალისწინების შესახებ.</p> <p>4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეასრულოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობები.</p>		
6	<p>ნებართვის ქონის ვალდებულებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა გაითვალისწინონ მოთხოვნები კონკრეტული კატეგორიის მოწყობილობების, საწვავი ან თანაწვის</p>	N1	9.1	<p>1. საქართველოს მთავრობა ადგენს ზოგადი სავალდებულო წესებს ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ მიდგომას და გარემოს დაცვის ისეთ</p>	სშ	

	<p>ქარხნების მიმართ ზოგადი სავალდებულო წესების სახით.</p> <p>თუკი ზოგადი სავალდებულო წესები მიღებულია, ნებართვა შესაძლოა უბრალოდ მოიცავდეს უბრალოდ ამ წესებზე მითითებას.</p>			<p>დონეს, რომელიც ცალკეული ინტეგრირებული ნებართვის პირობების მეშვეობით მიღწევადი დონის ექვივალენტურია.</p>		
--	--	--	--	--	--	--

7	<p>გარემოსდაცვითი ზიანის თავიდან აცილების ან აღდგენის მიმართ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/35/EC დირექტივისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ნებისმიერი ინციდენტის ან შემთხვევის გარემოზე არსებითი ზეგავლენის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ნებისმიერი აუცილებელი ზომა, რათა დარწმუნდნენ რომ:</p> <p>a. საქმიანობის განმახორციელებელი შეატყობინებს კომპეტენტურ ორგანოს დაუყოვნებლივ;</p> <p>b. საქმიანობის განმახორციელებელი დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს გარემოსდაცვითი შედეგების შეზღუდვის და შემდგომი შესაძლო ინციდენტების ან შემთხვევების თავიდან აცილებისთვის;</p> <p>c. კომპეტენტური ორგანო მოსთხოვს საქმიანობის განმახორციელებელს მიიღოს ნებისმიერი შესაბამისი ზომა, რასაც კომპეტენტური ორგანო ჩათვლის საჭიროდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გარემოსდაცვითი შედეგები და თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი შესაძლო ინციდენტები ან შემთხვევები.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>
---	--	--	--	--	----	---

8.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა დარწმუნდნენ რომ ნებართვის ყველა პირობა არის დაცული და შესაბამისი.	N1	23.1	1. ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტი.	სშ	
8.2	<p>ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ:</p> <p>a. საქმიანობის განმახორციელებელი დაუყოვნებლივ შეატყობინებს კომპეტენტურ ორგანოს;</p> <p>b. საქმიანობის განმახორციელებელი დაუყოვნებლივ მიიღებს საჭირო ზომას, რათა დარწმუნდეს რომ შეუსაბამოა არის აღმოფხვრილი შესაძლო უმოკლეს ვადაში;</p> <p>c. კომპეტენტური ორგანო მოსთხოვს საქმიანობის განმახორციელებელს მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომა, რასაც კომპეტენტური ორგანო საჭიროდ მიიჩნევს შესაბამის ადმოსაფხვრელად.</p> <p>თუ კი ნებართვის პირობების დარღვევა დაუყოვნებლივ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან შესაძლოა გამოიწვიოს დაუყოვნებელი არსებითი საზიანო ზეგავლენა გარემოზე, და სანამ 1-ლი ქვეპუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისობის აღდგენა მოხდება, მოწყობილობის, წვის ან თანაწვის ქარხნის ან შესაბამისი ნაწილის მუშაობა უნდა შეჩერდეს.</p>	N1	24.1 და 24.2	<p>1. ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:</p> <p>ა) აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს, სამინისტროს სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით;</p> <p>ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები;</p> <p>გ) განახორციელოს დეპარტამენტის მიერ მისთვის განსაზღვრული ის დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან შეუსაბამო გარემოებების აღმოსაფხვრელად.</p> <p>2. იმ შემთხვევაში, როდესაც ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, ან ქმნის გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების საშიშროებას, დეპარტამენტი (დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი), საქმიანობის განმახორციელებელის მიერ ამ</p>	სშ	

			<p>მუხლის პირველი პუნქტის “ზ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად განხორციელებამდე, აჩერებს შესაბამისი დანადგარის/მოწყობილობის ან მისი შესაბამისი ნაწილის ექსპლუატაციას.</p>		
9	<p>1. თუკი მოწყობილობიდან მომდინარე სათბურ გაზების ემისიები მოცემულია 2003/87/EC დირექტივის პირველი დანართში, ამ მოწყობილობაში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებართვა არ უნდა მოიცავდეს ემისიის ზღვრულ რაოდენობას ამ გაზების პირდაპირი ემისიისთვის, თუ კი საჭირო არ იქნება იმის უზრუნველყოფა რომ რაიმე არსებითი ადგილობრივი დაბინძურება არ იქნება გამოწვეული.</p> <p>2. 2003/87/EC დირექტივის პირველ დანართში მოცემული საქმიანობებისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა გადაწყვიტონ არ დააწესონ მოთხოვნები ენერგოეფექტურობის მიმართ საწვავ ერთეულებთან ან სხვა ერთეულებთან მიმართებაში, რომლებიც გამოყოფენ ნარხიროჟანგის დიოქსიდებს ტერიტორიაზე.</p> <p>3. სადაც აუცილებელია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეცვალოს ნებართვა შესაბამისად.</p> <p>4. 1-ლი-მე-3 პუნქტები არ გამოიყენება იმ მოწყობილობების მიმართ, რომლებიც</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

	დროებით ამორებულია იმ სქემიდან, რომელიც განკუთვნილია სათბური გაზების ემისიის ნებართვისთვის კავშირის შიგნით 2003/87/EC დირექტივის 27-ე მუხლის შესაბამისად.				
10	წინამდებარე თავი გამოიყენება პირველ დანართში მოცემული მოქმედებების მიმართ და სადაც საჭიროა გასცემს შეზღუდვის უფლებამოსილებას ამ დანართის მიხედვით.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

11	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ რომ მოწყობილობები მუშაობდნენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:</p> <p>a. ყველა შესაბამისი პრევენციული ზომა იქნა მიღებული დაბინძურების წინააღმდეგ;</p> <p>b. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა იქნა გამოყენებული;</p> <p>c. არსებითი დაბინძურება არ იქნა გამოწვეული;</p> <p>d. ნარჩენების წარმოება თავიდან იქნა აცილებული 2008/98/EC დირექტივის შესაბამისად;</p> <p>e. თუკი ნარჩენები წარმოიშვა, აღნიშნული პრიორიტეტულობისა და 2008/98/EC დირექტივის შესაბამისად მომზადდა ხელახლა გამოყენებისთვის, გადამუშავდა, აღდგა ან სადაც ეს ტექნიკურად და ეკონომიკურად შესაძლებელია, თავიდან იქნა მოცილებული გარემოზე ზიანის მიყენების ან შემცირების გარეშე;</p> <p>f. ენერჯია ეფექტიანად იქნა გამოყენებული;</p> <p>g. საჭირო ზომები იქნა მიღებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად და მათი შედეგების შესაზღუდად;</p> <p>h. საჭირო ზომები იქნა მიღებული მოქმედებების შეწყვეტის შესახებ დაბინძურების ნებისმიერი რისკის თავიდან ასაცილებლად და მოქმედებების ადგილი დაბრუნებულ იქნა</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>
----	---	--	--	--	----	---

	<p>დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, როგორც ეს განსაზღვრულია 22-ე მუხლში.</p>					
--	---	--	--	--	--	--

12.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა დარწმუნდნენ რომ ნებართვის შესახებ განცხადება შეიცავს შემდეგის აღწერას:</p> <p>a. მოწყობილობა დ მისი მოქმედებები;</p> <p>b. დაუმუშავებელი და დამხმარე მასალის, სხვა ნივთიერებებისა და ენერჯის გამოყენებული ან წარმოებული მოწყობილობების;</p> <p>c. ემისიის წყაროები ინსტალაციებში;</p> <p>d. მოწყობილობის განთავსების ადგილის პირობები;</p> <p>e. სადაც გამოყენებადია, საწყისი მოხსენება 22(2) მუხლის შესაბამისად;</p> <p>f. მოწყობილობებიდან მომდინარე განჭვრეტადი ემისიების რაოდენობა და ბუნება, ასევე გარემოზე ემისიების ზემოქმედების მნიშვნელობის იდენტიფიცირება;</p> <p>g. შეთავაზებული ტექნოლოგია და სხვა ტექნიკები მოწყობილობებიდან ემისიების თავიდან ასაცილებლად ან სადაც ეს შესაძლებელი არაა, მათ შესამცირებლად;</p> <p>h. მოწყობილობებიდან წარმოებული ნარჩენების თავიდან ასაცილებელი, თავიდან გამოსაყენებლად მოსამზადებელი, გადასამუშავებელი ან აღმდგენი ზომები;</p> <p>i. მე-11 მუხლით გათვალისწინებული სხვა ზომები, რომლებიც დაგეგმილია საქმიანობის განმახორციელებლის ძირითადი ვალდებულებების ზოგად პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;</p>	N1	11.1 და 11.2	<p>1. განაცხადი ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად (შემდგომში - განაცხადი) და თანდართული დოკუმენტაცია სააგენტოს წარედგინება ელექტრონული ფორმით.</p> <p>2. განაცხადი, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, უნდა მოიცავდეს შემდეგს:</p> <p>ა) ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);</p> <p>ბ) ინფორმაცია საქმიანობისა და გამოყენებული მოწყობილობა/დანადგარების შესახებ;</p> <p>გ) ინფორმაცია ნედლეულის, დამხმარე და სხვა მასალების, ასევე მოხმარებული/წარმოებული ენერჯის შესახებ;</p> <p>დ) ინფორმაცია ემისიის წყაროების, პროგნოზირებადი ემისიებისა და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ;</p> <p>ე) ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საბაზისო ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>ვ) ინფორმაცია შემოთავაზებული ტექნოლოგიის შესახებ, მათ შორის, ემისიების პრევენციის, ან სადაც ეს</p>	სშ	
------	---	----	--------------------	---	----	--

	<p>j. გარემოში ემისიის გამოყოფის მონიტორინგისთვის დაგეგმილი ზომები;</p> <p>k. განმცხადებლის მიერ გეგმაში შეთავაზებული ტექნოლოგიის, ტექნიკებისა და ზომების მთავარი ალტერნატივები;</p> <p>ნებართვაზე განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს არა ტექნიკურ შეჯამებას იმ დეტალებისას, რომელიც პირველი ქვეპუნქტითაა გათვალისწინებული.</p>			<p>შეუძლებელია - შემცირებისთვის გამოყენებული ტექნიკის შესახებ;</p> <p>ზ) ნარჩენების მართვის საკითხები, მათ შორის, ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის, ნარჩენების ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებები;</p> <p>თ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმ სხვა დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც იგეგმება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით;</p> <p>ი) გარემოში ემისიების მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები;</p> <p>კ) შეთავაზებული ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ღონისძიებების განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივები;</p> <p>ლ) საქმიანობის შეწყვეტისას საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენასთან, რემედიაციასთან და შემდგომ მოვლასთან დაკავშირებული შეთავაზებული ღონისძიებები;</p> <p>მ) ამ პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკური რეზიუმე.</p>		
12.2	<p>თუკი ინფორმაცია მიწოდებულია 85/337/EEC დირექტივით</p>	N1	4.2	<p>2. იმ შემთხვევაში, თუ ინტეგრირებულ ნებართვას</p>	სშ	

	<p>გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ან 96/82/EC დირექტივის მიხედვით მომზადებული უსაფრთხოების მოხსენების მიხედვით ან სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოებულია კანონმდებლობის სხვა დებულებების საპასუხოდ, რომელიც ასრულებს პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უნდა მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის ჩამატება ან მიერთება განცხადებასთან.</p>	N1	11.4	<p>დაქვემდებარებული საქმიანობა ასევე ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქმიანობაზე გაიცემა ინტეგრირებული ნებართვა, ამ კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები აისახება ინტეგრირებულ ნებართვაში.</p> <p>4. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში განაცხადს ასევე უნდა დაერთოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.</p>		
13.	<p>1. იმისთვის რომ მოხდეს BAT შემოთავაზებული დოკუმენტების შედგენა, განხილვა და განახლება, კომისიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს, დაინტერესებულ მრეწველობებს, გარემოს დაცვის</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>

<p>ხელშემწყობ არასამთავრობო ორგანიზაციებს და კომისიას შორის ინფორმაციის გაცვლას.</p> <p>2. ინფორმაციის გაცვლა უნდა პასუხობდეს შემდეგს:</p> <p>a. მოწყობილობებისა და ტექნიკების ემისიების მხრივ მოქმედებების შესრულება გამოხატული მოკლე და გრძელვადიანი საშუალო მონაცემებით და სადაც საჭიროა შესაბამისი შემოთავაზებული დაუმუშავებელი მასალების პირობები, მოხმარება და ბუნება, წყლის მოხმარება, ენერჯის გამოყენება და ნარჩენების წარმოება;</p> <p>b. გამოყენებული ტექნიკები, რომლებიც დაკავშირებულია მონიტორინგთან გარემოზე ზემოქმედებები, ეკონომიკური და ტექნიკური მიზანშეწონილობა და შესაბამისი განვითარებები;</p> <p>c. საუკეთესო ხელმისაწვდომის ტექნიკები და წარმოქმნილი ტექნიკები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა (a) და (b) ქვეპუნქტებში ნახსენები საკითხების მხედველობაში მიღების შემდეგ.</p> <p>3. კომისიამ უნდა შექმნას და რეგულარულად მოიწვიოს ფორმული, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების, დაინტერესებული</p>			
---	--	--	--

<p>მრეწველობების და გარემოს დაცვის ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.</p> <p>კომისია მიიღებს ფორუმის აზრს ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ და, კერძოდ, შემდეგზე:</p> <p>a. ფორუმის რეგლამენტი;</p> <p>b. ინფორმაციის გაცვლის სამუშაო პროგრამა;</p> <p>c. სახელმძღვანელო მონაცემების შეგროვების შესახებ;</p> <p>d. მითითებები BAT საცნობარო დოკუმენტების შედგენისა და მათი ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, მათი შინაარსისა და ფორმატის შესაბამისობის ჩათვლით.</p> <p>მეორე პუნქტის (c) და (d) ქვეპუნქტებში მითითებული სახელმძღვანელო ითვალისწინებს ფორუმის აზრს და მიიღება 75(2) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.</p> <p>4. კომისია მიიღებს და საჯაროდ გახდის ფორუმის მოსაზრებას BAT საცნობარო დოკუმენტების შემოთავაზებული შინაარსის შესახებ და ითვალისწინებს ამ მოსაზრებას მე-5 პუნქტში</p>				
--	--	--	--	--

	<p>გათვალისწინებული პროცედურებისთვის.</p> <p>5. BAT-ის დასკვნების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება 75(2) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.</p> <p>6. მე-5 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომისია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს BAT-ის მითითების დოკუმენტს და უზრუნველყოფს BAT-ის დასკვნების ხელმისაწვდომობას კავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე.</p> <p>7. მე-5 პუნქტის შესაბამისად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისიის მიერ 83-ე მუხლში მითითებულ თარიღამდე მიღებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნები BAT-ის საცნობარო დოკუმენტებიდან, გამოიყენება როგორც BAT-ის დასკვნები ამ თავის მიზნებისათვის, გარდა მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისთვის.</p>					
14.1	<p>წევრი სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ რომ ნებართვა მოიცავს ყველა აუცილებელ ზომას მე-11 და მე-18 მუხლში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>a. ემისიის ზღვრულ რაოდენობას დაბინძურებული ნივთიერებებისთვის, რომელიც მოცემულია II დანართში და</p>	N1	22.1	<p>1.საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეასრულოს ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული პირობების შესრულების მდგომარეობის თაობაზე მონიტორინგის შედეგებს საქმიანობის განმახორციელებელი, სულ მცირე წელიწადში ერთხელ,</p>	წმ	<p>იხ. ასევე დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>

<p>სხვა დაბინძურებული ნივთიერებებისთვის, რომლებიც შესაძლოა გამოიყოს მოწყობილობებიდან შემაშვოთებელი რაოდენობით, რომლებსაც მათი ბუნებისა და მათი პოტენციალიდან გამომდინარე შეუძლიათ გაავრცელონ დაბინძურება ერთი ადგილიდან მეორეზე;</p> <p>b. შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნიადაგის და მიწისქვეშა წლის დაცვას და ზომები, რომლებიც ეხება მოწყობილობებიდან წარმოებული ნარჩენების მონიტორინგსა და მართვას;</p> <p>c. შესაბამისი ემისიის მონიტორინგის მოთხოვნები აკონკრეტებენ:</p> <p>i. გაზომვის მეთოდოლოგიას, სიხშირეს და შეფასების პროცედურას; და</p> <p>ii. სადაც მე-15 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტი გამოიყენება, ემისიის მონიტორინგის შედეგები არის ხელმისაწვდომი იმავე პერიოდების განმავლობაში და ასევე მითითებული პირობები, რომელიც ეხება ემისიების დონეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან დაკავშირებით;</p> <p>d. ვალდებულება რომ კომპეტენტური ორგანოსთვის მომარაგებულ იქნას რეგულარულად, სულ მცირე ყოველწლიურად, შემდეგით:</p>	<p>N1</p>	<p>7.7</p>	<p>წარუდგენს სააგენტოს, ამავე ნებართვით დადგენილ ვადაში.</p> <p>7. სააგენტო უფლებამოსილია განსაზღვროს ემისიის ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც განსხვავდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული მნიშვნელობებისგან, სიდიდეების, დროის პერიოდებისა და სტანდარტული პირობების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში სააგენტო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, შეაფასებს ემისიების მონიტორინგის შედეგებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ემისიები არ აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს.</p>		
--	-----------	------------	--	--	--

<p>i. (c) ქვეპუნქტით მოცემული ემისიის მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებული ინფორმაცია და სხვა მოთხოვნილი მონაცემები, რომელიც საშუალებას აძლევს კომპეტენტურ ორგანოს შეამოწმოს ნებართვის პირობებთან შესაბამისობა; და</p> <p>ii. სადაც მე-15 მუხლის (3)(b) ქვეპუნქტი გამოიყენება, ემისიის მონიტორინგის შედეგების მოკლე შეჯამება, რომელიც შესაძლებელს გახდის საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან დაკავშირებული ემისიების დონეებს შედარებას;</p> <p>e. შესაბამისი მოთხოვნები იმ ზომების რეგულარული დაცვისა და კონტროლისთვის, რომლებიც გატარებულ იქნა ნიადაგში და მიწისქვეშა წყლებში ემისიების გამოყოფის თავიდან ასაცილებლად (b) ქვეპუნქტის შესაბამისად და შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების პერიოდულ მონიტორინგს, რაც დაკავშირებულია შესაბამის საშიშ ნივთიერებებთან, რომლებიც შესაძლოა აღმოჩენილ იქნას ტერიტორიაზე და მოწყობილობის ტერიტორიაზე შესაძლო ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებასთან;</p> <p>f. ზომები, რომლებიც დაკავშირებულია ნორმალური მუშაობის პირობებისგან განსხვავებულ პირობებთან, როგორცაა</p>				
--	--	--	--	--

	<p>დაწყებისა და დასრულების მოქმედებები, გაჟონვა, გაუმართაობა, წუთიერი შეფერხებები და მოქმედებების განსაზღვრული დასრულება;</p> <p>გ. დიდ მანძილზე გავრცელებადი ან ტრასასაზღვრო დაბინძურების მინიმალიზაციასთან დაკავშირებული დებულებები;</p> <p>h. პირობები ემისიის ზღვრული რაოდენობის შესაბამისობის შეფასებისთვის ან სხვაგან ჩამოყალიბებული შესაბამისი მოთხოვნების მითითების შეფასებისთვის.</p>					
14.2	1(a) პუნქტის მიზნებისთვის, ემისიის ზღვრული რაოდენობა შეიძლება შევსებული ან ჩანაცვლებული იყო ექვივალენტი პარამეტრებით ან ტექნიკური ზომებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს დაცვის ექვივალენტ დონეს.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
14.3	BAT დასკვნა უნდა იქნეს გასათვალისწინებელი ნებართვის პირობების დაწესებითვის.	N1	5.2	2. ინტეგრირებული ნებართვის პირობები განისაზღვრება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის საფუძველზე.	სშ	
14.4	მე-18 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლოა დააწესოს ნებართვის უფრო მკაცრი პირობები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის მიღწევადთან შედარებით, როგორც ეს აღწერილია BAT დასკვნებში. წევრმა სახელმწიფოებმა	N1	6.7	7. იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები მოითხოვს უფრო მკაცრ პირობებს, ვიდრე ის პირობები, რომლებიც მიიღწევა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის/გამოყენების გზით,	სშ	

	შესაძლოა დაადგინონ წესები, რომლის მიხედვითაც კომპეტენტურ ორგანოებს შეეძლებათ უფრო მკაცრი პირობების დადგენა.			სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვით დაადგინოს დამატებითი ღონისძიებები. დამატებითი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს ინტეგრირებული ნებართვის უფრო მკაცრ პირობებს.		
14.5.	<p>თუ კომპეტენტური ორგანო ადგენს ნებართვის პირობებს იმ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაყრდნობით, რომელიც არ არის აღწერილი არც ერთ შესაბამის BAT დასკვნაში, მან უნდა უზრუნველყოს რომ:</p> <p>a. ტექნიკა განსაზღვრულია III დანართში მოცემული კრიტერიუმისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით; და</p> <p>b. მე-15 მუხლის მოთხოვნები დაცულია.</p> <p>თუ BAT დასკვნები, რომელიც აღნიშნულია პირველ ქვეპუნქტში, არ შეიცავს ემისიის დონეებს დაკავშირებულს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან, კომპეტენტური ორგანო უნდა</p>	N1	5.4	4. როდესაც ინტეგრირებული ნებართვის პირობები დგინდება ისეთ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაყრდნობით, რომელიც არ არის აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში, ეს ტექნიკა უნდა განისაზღვროს ამ კანონის III დანართში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.	სშ	
	<p>თუ BAT დასკვნები, რომელიც აღნიშნულია პირველ ქვეპუნქტში, არ შეიცავს ემისიის დონეებს დაკავშირებულს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან, კომპეტენტური ორგანო უნდა</p>	N1	6.5	5. ინტეგრირებულ ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები დგინდება ემისიის გარემოში მოხვედრის წერტილისთვის. აღნიშნული ემისიის		

	დარწმუნდეს რომ პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული ტექნიკა უზრუნველყოფს გარემოს დაცვის ისეთი დონის დაცვას, რომელიც ექვივალენტია BAT დასკვნებში აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკებისა.			ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ამ წერტილამდე ნივთიერებების განზავება.		
14.6	თუ მოწყობილობაში განხორციელებული საქმიანობა ან პროცესის წარმოების სახე არ არის მოცემული ნებისმიერი სახის BAT დასკვნებში ან თუ ეს დასკვნები ვერ პასუხობენ მოქმედების ან პროცესის გარემოზე ყველა პოტენციურ ზეგავლენას, კომპეტენტურმა ორგანომ, საქმიანობის განმახორციელებელთან კონსულტაციის შემდეგ, უნდა დაადგინოს ნებართვის პირობები საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებზე დაყრდნობით, რომელიც განსაზღვრულია მოქმედების ან პროცესისთვის III დანართში მოცემული კრიტერიუმის მხედველობაში მიღებით.	NI	5.3	3. იმ შემთხვევებში, როდესაც საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში არ არის გათვალისწინებული საქმიანობა ან საწარმოო პროცესი ან/და საქმიანობის ან ცალკეული საწარმოო პროცესის გარემოზე ყველა შესაძლო ზემოქმედება, ინტეგრირებული ნებართვის პირობები განისაზღვრება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის საფუძველზე, ამ კანონის III დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქმიანობის განმახორციელებლისთვის წინასწარი შეტყობინებით.	სშ	
14.7	I დანართის 6.6 პუნქტში მოცემული მოწყობილობებისთვის, წინამდებარე მუხლის პირველიდან მე-6 პუნქტები				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

	გამოიყენება ცხოველების კეთილდღეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისთვის ზიანის მიყენების გარეშე.					
15.1	ემისიის ზღვრული რაოდენობები დამაბინძურებელი ნივთიერებებისთვის გამოიყენება იმ მომენტში, როცა ემისიები ტოვებენ მოწყობილობას და ნებისმიერი სახის გაზავება ამ მომენტამდე მხედველობაში არ იქნება მიღებული ამ რაოდენობების განსაზღვრისას.  დამაბინძურებელი ნივთიერებების წყალში არაპირდაპირი გზით გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით, წყლის დამუშავების ქარხნის ზეგავლენა შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული მოწყობილობის ემისიის ზღვრული რაოდენობების განსაზღვრისას, იმის უზრუნველყოფით რომ გარემოს დაცვის ექვივალენტური დონე გარანტირებულია და იმის გათვალისწინებით რომ ეს არ გამოიწვევს გარემოს დაბინძურების უფრო მაღალ დონეს.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
15.2	მე-18 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ემისიის ზღვრული რაოდენობები და ექვივალენტური პარამეტრები და ტექნიკური ზომები, რომლებიც მოცემულია მე -14 მუხლის (1) და (2) პუნქტებში, ემყარება საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებს, ნებისმიერი ტექნიკის ან კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენების დაწესების გარეშე.	N1	6.1	1. ინტეგრირებულ ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, რომელიმე კონკრეტული ტექნიკის ან ტექნოლოგიის გამოყენების მოთხოვნის გარეშე.	სშ	

15.3	<p>კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაადგინოს ემისიის ზღვრული რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს, მოქმედების ნორმალური პირობების ქვეშ, რომ ემისიებმა არ გადაარჭარბოს ემისიის დონეებს, რომლებიც დაკავშირებულია საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან, როგორც ეს დადგენილია BAT დასკვნების შესახებ გადაწყვეტილებებში მე-13(5) მუხლის შესაბამისად შემდეგიდან ერთ-ერთის საშუალებით:</p> <p>a. დადგენილია ემისიის ზღვრული რაოდენობები, რომლებიც არ აჭარბებს ემისიის იმ დონეებს, რომლებიც დაკავშირებულია საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან. ემისიის ეს ზღვრული რაოდენობები უნდა იყოს გამოხატული იმავე ან უფრო მოკლე პერიოდებისთვის და იმავე პირობების შესაბამისად, როგორც ემისიის იმ დონეებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან; ან</p> <p>b. ემისიის სხვადასხვა ზღვრული რაოდენობების დადგენა, ვიდრე ეს მოცემულია (a) ქვეპუნქტში რაოდენობებთან, დროის მონაკვეთებთან და პირობებთან დაკავშირებით. თუ (b) ქვეპუნქტი გამოიყენება, კომპეტენტურმა ორგანომ, სულ მცირე ყოველწლიურად უნდა შეაფასოს ემისიების მონიტორინგის შედეგები</p>	N1	6.4	<p>4. ინტეგრირებულ ნებართვაში საქმიანობისთვის განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.</p> <p>7. სააგენტო უფლებამოსილია განსაზღვროს ემისიის ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც განსხვავდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული მნიშვნელობებისგან, სიდიდეების, დროის პერიოდებისა და სტანდარტული პირობების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში სააგენტო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, შეაფასებს ემისიების მონიტორინგის შედეგებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ემისიები არ აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს.</p>	სშ	
------	--	----	-----	---	----	--

	იმისთვის, რომ იქნას უზრუნველყოფილი, ემისიები, ჩვეულებრივი სამოქმედო პირობებისას არ აჭარბებდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან დაკავშირებულ ემისიების დონეებს.					
15.4	<p>მესამე პუნქტიდან გადახვევის მიზნით, ასევე მე-18 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში დააწესოს ნაკლებად მკაცრი ემისიის ზღვრული მოცულობა. ამგვარი გადახვევის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასებებიდან ჩანს, რომ BAT დასკვნებში აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან დაკავშირებული ემისიის დონის მიღწევა გამოიწვევს არაპროპორციულად მაღალ ხარჯებს გარემოსთვის სარგებლის მოტანასთან შედარებით, რაც განპირობებულია:</p> <p>a. მოწყობილობების გეოგრაფიული მდებარეობით ან ადგილობრივი გარემოსდაცვითი პირობებით; ან</p> <p>b. მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლებით.</p> <p>კომპეტენტურმა ორგანომ ნებართვის პირობებს დანართის სახით უნდა დაურთოს პირველი ქვეპუნქტის გამოყენების მიზეზები, მათ შორის შეფასების შედეგი და დაწესებული</p>	N1	7.1	<p>1. სააგენტო უფლებამოსილია დააწესოს ემისიის ზღვრული ნაკლებად მკაცრი მნიშვნელობები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთსარგებლიანობის ან/და სხვა ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებული ემისიების დონეების მიღწევა, როგორც ისინი აღწერილია დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, გამოიწვევს არათანაბარზომიერად მაღალ ხარჯებს გარემოსდაცვით სარგებელთან შედარებით, შემდეგი მიზეზების გამო:</p> <p>ა) საქმიანობის განხორციელების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ან ადგილობრივი გარემო პირობები;</p> <p>ბ) საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები.</p>	ნშ	ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, მითითებული დირექტივის 15(2-4) მუხლთან დაახლოების ვადა არის 2026 წელი.

	<p>პირობების გამამართლებელი საფუძვლები.</p> <p>პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად დადგენილი ემისიის ზღვრული რაოდენობები არ უნდა აჭარბებდეს წინამდებარე დირექტივის დანართებში მოცემული ემისიის ზღვრულ რაოდენობებს.</p> <p>კომპეტენტური ორგანო ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დარწმუნდეს რომ არ არის გამოწვეული მნიშვნელოვანი დაბინძურება და რომ მიღწეულია გარემოს დაცვის მაღალი დონე.</p> <p>72-ე მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად, წვერი სახელმწიფოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კონკრეტულად ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომისიას შეუძლია, თუ აუცილებელია, შეაფასოს და განმარტოს ამ პუნქტის გამოყენებისთვის მხედველობაში მისაღები კრიტერიუმი.</p> <p>21-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენტურმა ორგანომ თავიდან უნდა შეაფასოს პირველი ქვეპუნქტის გამოყენება როგორც ნებართვის პირობების ხელახლა გადახედვის ნაწილი.</p>					
15.5	<p>კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლოა გასცეს წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, მე-11 მუხლის (a) და (b) ქვეპუნქტებით არა უმეტეს 9 თვის ვადით ახლად წარმოქმნილი ტექნიკის</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>

	<p>შემოწმებისა და გამოყენებისთვის დადგენილი მოთხოვნებიდან დროებით გადახვევის უფლება იმ პირობით, რომ დადგენილი დროის შემდეგ ტექნიკის მუშაობა შეჩერდება ან მიაღწევს სულ ცოტა ემისიის იმ დონეს, რომელიც დაკავშირებულია საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან.</p>					
16.	<p>1. მე-14 მუხლის (1)-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის მოთხოვნები უნდა ეფუძნებოდეს BAT დასკვნებში აღწერილ მონიტორინგის დასკვნებს.</p> <p>2. მე-14 მუხლის (1)-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტით განსაზღვრული პერიოდული მონიტორინგის სიხშირე განისაზღვრება კომპეტენტური ორგანოს მიერ ყოველი მოწყობილობისთვის განკუთვნილ ნებართვაში ან ზოგად სავალდებულო წესებში.</p> <p>პირველი ქვეპუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე, პერიოდული მონიტორინგი უნდა განხორციელდება სულ მცირე ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მიწისქვეშა წყლებისთვის და ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ნიადაგისთვის, თუ ამგვარი მონიტორინგი არ ეფუძნება დაბინძურების რისკის სისტემატურ შეფასებას.</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

17.1	ზოგადი სავალდებულო წესების მიღებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ინტეგრირებული მიდგომა და გარემოს მაღალი დაცვა, რომელიც ექვივალენტურია ინდივიდუალური ნებართვის პირობებით მიღწევადობისა.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
17.2	ზოგადი სავალდებულო წესები უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებს, ნებისმიერი ტექნიკის ან კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენების დაწესების გარეშე იმისთვის, რომ მე-14 და მე-15 მუხლებთან შესაბამისობა იქნას უზრუნველყოფილი.	N1	9.1 და 9.2	1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ზოგადი სავალდებულო წესები ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ მიდგომას და გარემოს დაცვის ისეთ დონეს, რომელიც ცალკეული ინტეგრირებული ნებართვის პირობების მეშვეობით მიღწევადი დონის ექვივალენტურია. 2. ზოგადი სავალდებულო წესები დაფუძნებული უნდა იყოს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე, კონკრეტული ტექნოლოგიის ან ტექნიკის მითითების გარეშე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ კანონის მე-5-მე-6 მუხლებთან შესაბამისობა.	სშ	
17.3	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ ზოგადი სავალდებულო წესები არის განახლებული, რათა მხედველობაში იქნას მიღებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკების განვითარება და				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

	უზრუველყოფილი იყოს 21-ე მუხლთან შესაბამისობა.				
17.4	1-3 პუნქტების შესაბამისად მიღებული ზოგადი სავალდებულო წესები უნდა შეიცავდნენ მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან თან უნდა ერთვოდეს ასეთი მითითება მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში.			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
18	თუ გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტი მოითხოვს იმაზე მკაცრ პირობებს, ვიდრე მიღწევადია საუკეთესო ხელმიწვდომი ტექნიკის გამოყენებით, ნებართვაში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ზომები, გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად მიღებულ სხვა ზომებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
19	წვერი სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ რომ კომპეტენტური ორგანოები მოქმედებენ ან ინფორმირებულნი არიან საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განვითარების და განახლებული ან ახალი BAT დასკვნების გამოქვეყნების შესახებ და უნდა გახადონ აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.
20	1. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქმიანობის განმახორციელებელი შეატყობინებს კომპეტენტურ ორგანოს მოწყობილობის ბუნების ან ფუნქციონირების ან მისი			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

	<p>გაფართოების მიზნით ნებისმიერი დაგეგმილი ცვლილების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ გარემოსდაცვითი შედეგები. თუ აუცილებელია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განაახლოს ნებართვა.</p> <p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა დარწმუნდნენ, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ დაგეგმილი არსებითი ცვლილება არ ხორციელდება წინამდებარე დირექტივის შესაბამისად გაცემული ნებართვის გარეშე.</p> <p>ნებართვის განცხადება და კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს მე-12 მუხლში ჩამოთვლილ მოწყობილობის იმ ნაწილებსა და დეტალებს, რომლებმაც შეიძლება განიცადონ არსებითი ცვლილება.</p> <p>3. მოწყობილობის გაფართოების, ბუნების ან ფუნქციონირების ცვლილება უნდა იქნას მიჩნეული არსებითად თუ აღნიშნული ცვლილება ან გაფართოება აღწევს პირველი დანართით მოცემული შესაძლებლობის ზღვარს.</p>					
21.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტური ორგანო 2-5 პუნქტების შესაბამისად პერიოდულად განიხილავს ნებართვის</p>	N1	17.1	<p>1. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ხელახლა განიხილოს ინტეგრირებული ნებართვის პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში,</p>	სშ	

	<p>ყველა პირობას და თუ წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, განაახლებს ამ პირობებს.</p>		<p>კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საჭიროებაზე, შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>ა) როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი არ არის გათვალისწინებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას;</p> <p>ბ) ექსპლუატაციის უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვას;</p> <p>გ) საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიკა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;</p> <p>დ) საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებს ინტეგრირებული ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვას, ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრას;</p> <p>ე) შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, რომელთა საფუძველზეც საჭიროა</p>	
--	---	--	--	--

				<p>ინტეგრირებული ნებართვის პირობების გადახედვა;</p> <p>ვ) ნებართვაში ცვლილების შეტანა აუცილებელია ნებართვის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.</p>		
21.2	<p>კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს მთელი ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ნებართვის პირობების გადახედვისთვის, მათ შორის, კონკრეტულად, ემისიის მონიტორინგის შედეგები და სხვა მონაცემები, რაც შესაძლებელს გახდის მოწყობილობის მუშაობის შედარებას BAT დასკვნებში აღწერილ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან და ამ ტექნიკით გამოყოფილ ემისიის დონეებთან.</p> <p>ნებართვის პირობების გადახედვისას, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გამოიყენოს მონიტორინგის ან შემოწმების შედეგად მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია.</p>	N1	17.2	<p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო ინტეგრირებული ნებართვის პირობებს განიხილავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების დამტკიცებიდან 4 წლის ვადაში. სააგენტო საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ფარგლებშიც საქმიანობის განმახორციელებელმა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უნდა უზრუნველყოს სააგენტოში სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა, ამ კანონის მე-11-მე-15 მუხლების შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი თავისუფლდება ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის გადახდისგან.</p>	სშ	

		N1	17.5 „ბ“	<p>5. სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, 30 სამუშაო დღის ვადაში, შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ინტეგრირებულ ნებართვაში, თუ:</p> <p>ბ) დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე გამოვლინდება საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობის შეუსაბამობა ინტეგრირებულ ნებართვაში ასახულ გარემოებებთან და სააგენტო დაადგენს, რომ აღნიშნული შეუსაბამობა არ არის არსებითი. მოცემულ შემთხვევაში ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საქმიანობის განმახორციელებელის თანხმობით.</p>		
21.3	<p>მოწყობილობის მთავარ მოქმედებასთან დაკავშირებით მე-13 მუხლის (5) პუნქტის შესაბამისად BAT დასკვნებზე გადაწყვეტილებების გამოქვეყნებიდან 4 წლის განმავლობაში, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ:</p>	N1	17.2	<p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო ინტეგრირებული ნებართვის პირობებს განიხილავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების დამტკიცებიდან 4 წლის</p>	სშ	

	<p>a. მოწყობილობის ნებართვის ყველა პირობა არის გადახედილი და თუ საჭიროა წინამდებარე დირექტივასთან, კერძოდ, მე-15 მუხლის (3) და (4) პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად იქნას განახლებული;</p> <p>b. მოწყობილობა შეესაბამება ნებართვის ამ პირობებს.</p> <p>გადახედვისას უნდა იქნას მხედველობაში მიღებული მოწყობილობის მიმართ გამოყენებადი ყველა ახალი ან განახლებული BAT დასკვნები და მიღებული მე-13 მუხლის (5) პუნქტის შესაბამისად მას შემდეგ რაც ნებართვა გაიცა ან ბოლოს გადაიხედა.</p>	N1	17.7	<p>ვადაში. სააგენტო საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ფარგლებშიც საქმიანობის განმახორციელებელმა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უნდა უზრუნველყოს სააგენტოში სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა, ამ კანონის მე-11-მე-15 მუხლების შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი თავისუფლდება ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის გადახდისგან.</p> <p>7. თუ სააგენტო დაადგენს, რომ ცვლილება არსებითი ცვლილებაა, უნდა გაიცეს ახალი ინტეგრირებული ნებართვა. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, სააგენტოში წარმოადგინოს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია.</p>	
--	---	----	------	--	--

21.4	<p>თუ მოწყობილობა არ არის მითითებული BAT რომელიმე დასკვნაში, ნებართვის პირობები უნდა გადაიხედოს და თუ საჭიროა განახლდეს თუ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკების განვითარება ემისიების მნიშვნელოვანი შემცირების საშუალებას იძლევა.</p>	N1	17.1 „ა“	<p>1. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ხელახლა განიხილოს ინტეგრირებული ნებართვის პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საჭიროებაზე, შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>ა) როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი არ არის გათვალისწინებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას;</p>	სშ	
21.5	<p>ნებართვის პირობები უნდა გადაიხედოს და თუ საჭიროა განახლდეს სულ ცოტა შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>a. მოწყობილობის მიერ გამოყოფილი დაბინძურება იმდენად არსებითია, რომ ნებართვაში აღნიშნული ემისიების არსებული ზღვრული მოცულობა საჭიროა გადაიხედოს ან აუცილებელია ახალი მოცულობის დადგენა;</p>	N1	17.1	<p>1. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ხელახლა განიხილოს ინტეგრირებული ნებართვის პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საჭიროებაზე, შემდეგ შემთხვევებში:</p>	სშ	

	<p>b. ოპერაციული უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკების გამოყენებას;</p> <p>c. მე-18 მუხლის შესაბამისად აუცილებელია ახალ ან გადახედილ გარემოსდაცვით ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.</p>		<p>ა) როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი არ არის გათვალისწინებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას;</p> <p>ბ) ექსპლუატაციის უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვას;</p> <p>გ) საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიცა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;</p> <p>დ) საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებს ინტეგრირებული ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვას, ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრას;</p> <p>ე) შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, რომელთა საფუძველზეც საჭიროა ინტეგრირებული ნებართვის პირობების გადახედვა;</p>	
--	--	--	--	--

			ვ) ნებართვაში ცვლილების შეტანა აუცილებელია ნებართვის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.		
22	<p>1. მიწისქვეშა წყლის დაბინძურებისგან და გაუარესებისგან დაცვის შესახებ 2000/60/EC, 2004/34/EC დაა 2006/118/EC ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის დირექტივებისთვის და ნიადაგის დაცვის შესახებ ევროკავშირის შესაბამისი სამართლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაადგინოს ნებართვის პირობები, რათა უზრუნველყოს წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან შესაბამისობა განსაზღვრული მოქმედებების შეწყვეტის გზით.</p> <p>2. თუ მოქმედება მოიცავს შესაბამისი საშიში ნივთიერებების გამოყენებას, წარმოებას ან გამოყოფას და მოწყობილობის ტერიტორიაზე ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის დაბინძურების შესაძლებლობის მხედველობაში მიღებით, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მოამზადოს და წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოს საწყისი მოხსენება ინსტალაციის მუშაობის დაწყებამდე ან შემდეგ მოწყობილობის ნებართვის პირველადი განახლებისათვის 2013 წლის 7 იანვრის შემდეგ.</p> <p>საწყისი მოხსენება უნდა შეიცავდეს ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.

<p>დაბინძურების მდგომარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელ ინფორმაციას, რათა შესაძლებელი გახდეს შედრების გაკეთება მოქმედებების დასრულებისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-3 პუნქტით.</p> <p>საწყისი მოხსენება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა შემდეგ ინფორმაციას:</p> <p>a. ტერიტორიის ახლანდელი და თუ საჭიროა წარსული გამოყენების შესახებ;</p> <p>b. თუ შესაძლებელია, ნიადაგის ან მიწისქვეშა წყლის გაზომვის შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელიც გამოხატავს მოხსენების შედგენის დროს არსებულ მდგომარეობას ან ალტერნატიულად ნიადაგის და მიწისქვეშა წყლის გაზომვის ახალ შედეგებს მოწყობილობის შედეგად გამოყენებული, წარმოებული ან გამოყოფილი საშიში ნივთიერებების მიერ ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის შესაძლო დაბინძურების მხედველობაში მიღებით.</p> <p>თუ ეროვნული ან ევროკავშირის სამართლის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტის მოთხოვნებს, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შევიდეს ან დართული იყოს წარმოდგენილი საწყის მოხსენებაში.</p>					
--	--	--	--	--	--

<p>კომისიამ უნდა დაადგინოს საწყისი მოხსენების შინაარსის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები.</p> <p>3. მოქმედებების დასრულებისთვის, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა შეაფასოს მოწყობილობის მიერ გამოყენებული, წარმოებული ან გამოყოფილი შესაბამისი საშიში ნივთიერებებით ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის დაბინძურების მდგომარეობა. თუ მოწყობილობამ გამოიწვია ნიადაგის ან მიწისქვეშა წყლის საშიში ნივთიერებებით სერიოზული დაბინძურება იმასთან შედარებით, რაც დადგენილია მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ საწყის მოხსენებაში, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა მოახდინოს რეაგირება ამ დაბინძურებაზე, რათა ტერიტორია დაუბრუნდეს თავდაპირველ მდგომარეობას. ამ მიზნით, ამ ზომების ტექნიკური გამოყენებადობა შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული.</p> <p>პირველი ქვეპუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მოქმედებების დასრულების მიზნით, ასევე თუ ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის დაბინძურება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს საქმიანობის შემსრულებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად სანამ 2013 წლის 7 იანვრამდე</p>				
---	--	--	--	--

	<p>ნებართვა პირველად განახლდება, ასევე მე-12 მუხლის (1)-ლი პუნქტის (d) ქვეპუნქტის შესაბამისად დადგენილი პირობების მხედველობაში მიღებით, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს აუცილებელი მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ საშიში ნივთიერებების მოცილებას, კონტროლს, დაბინძურებას ან შემცირებას იმგვარად რომ რისკი შემცირდება.</p> <p>4. თუ საქმიანობის განმახორციელებელს არ ევალება მე-2 პუნქტის შესაბამისად საწყისი მოხსენების მომზადება, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს აუცილებელი მოქმედებები საშიში ნივთიერებების მოცილების, კონტროლის, შეჩერების ან შემცირების მიზნით, მისი ახლანდელი და მომავალი გამოყენების მხედველობაში მიღებით, რის შედეგადაც შემცირდება არსებითი რისკი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის. ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მე-12 მუხლის (1) პუნქტის (d) ქვეპუნქტით დადგენილი პირობები.</p>					
23.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან მოწყობილობების გარემოსდაცვითი შემოწმების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყობილობებით გამოწვეული გარემოზე სხვადასხვა სახის ზეგავლენის გამოკვლევას.	N1	23.2	2. დეპარტამენტი შეიმუშავებს გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის პროექტს, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული სტრატეგია	სშ	

	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საქმიანობის განმახორციელებლებმა კომპეტენტურ ორგანოს გაუწიონ ყველა საჭირო დახმარება, რაც საშუალებას მისცემს მათ მოინახულონ ტერიტორია, აიღონ ნიმუში და წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით შეაგროვონ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია.</p>	<p>N1</p>	<p>23.4</p>	<p>ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და განახლებას.</p> <p>4. გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, დეპარტამენტი შეიმუშავებს და მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიური გარემოსდაცვითი შემოწმების პროგრამას.</p>		
<p>23. (2-6)</p>	<p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოწყობილობა გათვალისწინებული იყოს გარემოსდაცვითი შემოწმების გეგმაში ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე და რომ ეს გეგმა რეგულარულად იქნეს გადახედილი და თუ საჭიროა, განახლებული.</p> <p>3. ყოველი გარემოსდაცვითი შემოწმების გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგს:</p>	<p>N1</p>	<p>23.6</p>	<p>6. შემოწმებისას ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ამ შემოწმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში უნდა განხორციელდეს განმეორებითი ინსპექტირება.</p>	<p>ას</p>	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>

<p>a. შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი პრობლემების ზოგადი შემოწმება;</p> <p>b. შემოწმების გეგმით გათვალისწინებული გეოგრაფიული ტერიტორია;</p> <p>c. გეგმით გათვალისწინებული მოწყობილობების რეგისტრაცია;</p> <p>d. მე_4 პუნქტის შესაბამისად რეგულარული გარემოსდაცვითი შემოწმებებისთვის პროგრამების შედგენის პროცედურები;</p> <p>e. მე_5 პუნქტის შესაბამისად არარეგულარული გარემოსდაცვითი შემოწმებების პროცედურები;</p> <p>f. თუ აუცილებელია, სხვადასხვა შემოწმებაზე უფლებამოსილ ორგანოებს შორის თანამშრობლობის შესახებ დებულებები.</p> <p>4. შემოწმების გეგმებზე დაყრდნობით, კომპეტენტურმა ორგანომ რეგულარულად უნდა შეადგინოს პროგრამა რეგულარული გარემოსდაცვითი შემოწმებებისთვის, მათ შორის სხვადასხვა სახით მოწყობილობებისთვის ტერიტორიაზე ვიზიტის სიხშირე.</p> <p>ტერიტორიის ორ ვიზიტს შორის პერიოდი უნდა ემყარებოდეს მოწყობილობებით</p>				
---	--	--	--	--

<p>გამოწვეული გარემოსდაცვითი რისკების სისტემატურ შეფასებას და არ უნდა აჭარბებდეს 1 წელს იმ მოწყობილობებთან მიმართებით, რომლებიც ყველაზე დიდ რისკს ქმნიან და 3 წელს იმ მოწყობილობებისთვის, რომლებიც ქმნიან ყველაზე ნაკლებ რისკს.</p> <p>თუ შემოწმების შედეგად მოხდება ნებართვის პირობებთან შეუსაბამობის მნიშვნელოვანი შემთხვევის იდენტიფიცირება, ამ შემოწმებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ტერიტორიაზე დამატებითი ვიზიტი.</p> <p>გარემოსდაცვითი რისკების სისტემატური შეფასება უნდა ემყარებოდეს სულ ცოტა შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <p>a. მოწყობილობებიდან მომდინარე პოტენციური და რეალური ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ემისიების ტიპებისა და დონეების, ადგილობრივი გარემოს მგრძობეობისა და უბედური შემთხვევების რისკის მხედველობაში მიღებით;</p> <p>b. ნებართვის პირობებთან შესაბამისობის ჩანაწერი;</p> <p>c. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ევროკავშირის მიერ ორგანიზებული ეკო-მართვისა და აუდიტის პროგრამაში 1221/2009 რეგულაციის შესაბამისად.</p>			
---	--	--	--

<p>კომისიას შეუძლია მიიღოს გარემოსდაცვითი რისკების შეფასების კრიტერიუმის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები.</p> <p>5. არარეგულარული გარემოსდაცვითი შემოწმებები უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ გამოძიებულ იქნას სერიოზული გარემოსდაცვითი საჩივრები, სერიოზული გარემოსდაცვითი უბედური შემთხვევები, ინციდენტები და შეუსაბამობის შემთხვევები, რამდენადაც შესაძლებელია სწრაფად და თუ საჭიროა ნებართვის გაცემამდე, განხილვამდე ან განახლებამდე.</p> <p>6. ტერიტორიის ყოველი ვიზიტის შემდეგ, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მოამზადოს მოხსენება, რომელიც აღწერს შესაბამის შედეგებს, ინსტალაციის ნებართვის პირობებთან შესაბამისობასთან მიმართებით და დასკვნები იმასთან დაკავშირებით თუ არის აუცილებელი შემდგომი მოქმედებების განხორციელება. მოხსენება შეტყობინებული უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლისთვის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტიდან 2 თვის განმავლობაში. კომპეტენტურმა ორგანომ მოხსენება უნდა გაასაჯაროვოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის</p>				
--	--	--	--	--

	<p>28 იანვრის 2003/4/EC დირექტივის შესაბამისად ტერიტორიის ვიზიტიდან 4 თვის განმავლობაში.</p> <p>მე-8 მუხლის (2) პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა გონივრულ ვადაში მიიღოს მოხსენებაში იდენტიფიცირებული ყველა საჭირო ზომა.</p>					
--	---	--	--	--	--	--

24.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცეს ეფექტიანი შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე მიიღოს მონაწილეობა შემდეგ პროცედურებში:</p> <p>a. ახალი მოწყობილობების მიმართ ნებართვების გაცემა;</p> <p>b. ნებისმიერი არსებითი ცვლილებისთვის ნებართვის გაცემა;</p> <p>c. მე-15 მუხლის (4) პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განცხადების საპასუხოდ მოწყობილობისთვის ნებართვის გაცემა ან განახლება;</p> <p>d. 21-ე მუხლის (5) პუნქტის (a) ქვეპუნქტის შესაბამისად მოწყობილობის ნებართვის ან მისი პირობების განახლება.</p> <p>IV დანართში მოცემული პროცედურა ასევე ექვემდებარება ასეთ მონაწილეობას.</p>	N1	3. „გ“	<p>სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში:</p> <p>გ) ცენტრის კომპეტენციაა ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის, ასევე, შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა;</p>	სშ	
		N1	14.2	<p>2. ცენტრი, საზოგადოების მონაწილეობის მიზნით, უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ჩატარებას განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 75-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - არაუგვიანეს 47-ე სამუშაო დღისა).</p>		
		N1	14.6	<p>6. საზოგადოებას უფლება აქვს განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 85-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - არაუგვიანეს 57-ე სამუშაო დღისა) ცენტრს</p>		

		14.10	<p>წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები:</p> <p>ა) წერილობით;</p> <p>ბ) ზეპირად, საჯარო განხილვის დროს;</p> <p>გ) ელექტრონული საშუალებით.</p> <p>10. სააგენტო მიღებულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, მათი მიღებიდან (ხოლო საჯარო განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების შემთხვევაში - საჯარო განხილვის შესახებ ოქმის შედგენიდან) 5 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - 3 სამუშაო დღის ვადაში) საჭიროების შემთხვევაში უგზავნის საქმიანობის განმახორციელებელს და განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - არაუმეტეს 5 სამუშაო დღის) ვადას, შენიშვნებზე საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად.</p>	
--	--	-------	--	--

<p>24.2</p>	<p>თუ ნებართვის გაცემის, გადახედვის ან განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, კომპეტენტურმა ორგანომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, მათ შორის (a), (b) და (c) ქვეპუნქტების შესაბამისად ინტერნეტის საშუალებით შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>a. გადაწყვეტილების შინაარსი, მათ შორის ნებართვისა და ნებისმიერი შემდგომი განახლების ასლი;</p> <p>b. მიზეზები, რასაც დაეფუძნა ეს გადაწყვეტილება;</p> <p>c. გადაწყვეტილებამდე ჩატარებული კონსულტაციების შედეგები და ახსნა-განმარტება თუ რა სახით იქნა ისინი გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას;</p> <p>d. მოწყობლობის ან მოქმედების შესაბამისი BAT დოკუმენტების სათაური;</p> <p>e. მე_14 მუხლში აღნიშნული ნებართვის პირობები, მათ შორის ემისიის ზღვრული რაოდენობები, როგორ იქნა განსაზღვრული საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკებთან და მათთან დაკავშირებული ემისიის დონეებთან მიმართებით;</p> <p>f. თუ მე-15 მუხლის (4) პუნქტის შესაბამისად გადახვევის უფლება იქნა გაცემული, ამ პუნქტში მოცემული კრიტერიუმისა და დაწესებული პირობების შესაბამისად გადახვევის კონკრეტული მიზეზები.</p>	<p>N1</p>	<p>15.3</p>	<p>3. ინტეგრირებული ნებართვის გაცემიდან, გადახედიდან, განახლებიდან ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.</p>	<p>ნშ</p>	<p>დარეგულირდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით:</p> <p>2026 წლის პირველ იანვრამდე- „ინტეგრირებული ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული ნებართვის ფორმების დამტკიცების შესახებ“;</p>
		<p>N1</p>	<p>17.6</p>	<p>6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანამდე, ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას, 5 სამუშაო დღის ვადაში. დაინტერესებულ</p>		

				<p>საზოგადოებას უფლება აქვს, საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინოს 15 სამუშაო დღის ვადაში. სააგენტო განიხილავს წარმოდგენილ შენიშვნებს და მოსაზრებებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხედველობაში იღებს მათ. მიღებულ გადაწყვეტილებას ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.</p>		
		N1	29.2 „ა“	<p>2. 2026 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცეს შემდეგი ბრძანებები:</p> <p>ა) „ინტეგრირებული ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული ნებართვის ფორმების დამტკიცების შესახებ“;</p>		
24.3	<p>კომპეტენტურმა ორგანომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, მათ შორის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინტერნეტ წყაროებით, ასევე:</p> <p>ა. 22-ე მუხლის შესაბამისად მოქმედებების შეწყვეტის მიზნით საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;</p>	N1	22.4	<p>1. ცენტრი საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე ათავსებს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის:</p> <p>ა) სააგენტოში წარმოდგენილი ემისიის მონიტორინგის შედეგებს, ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესაბამისად;</p> <p>ბ) ინფორმაციას საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ</p>	სშ	

	ბ. ნებართვის პირობებით მოთხოვნილი და კომპეტენტური ორგანოს მიერ ჩატარებული ემისიის მონიტორინგის შედეგები.			კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ - საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.		
24.4	წინამდებარე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები უნდა დაექვემდებარონ 2003/4/EC დირექტივის 4(1) და (2) პუნქტებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.	N3	დან არ თი №3, მუხლი 7	<p>1. კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს, არ გასცეს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, თუ:</p> <p>ა) იგი არ ფლობს მოთხოვნილ გარემოსდაცვით ინფორმაციას. ამ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიუთითოს განმცხადებელს იმ უწყების შესახებ, სადაც შესაძლებელია მოთხოვნილი ინფორმაციის მოპოვება;</p> <p>ბ) მოთხოვნა შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც შექმნის პროცესშია;</p> <p>გ) მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება შიდაუწყებრივ კომუნიკაციებს. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებული მაღალი საჯარო ინტერესი.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია იმ სტრუქტურული ერთეულის შესახებ, რომელიც ქმნის მოთხოვნილ ინფორმაციას და ასევე,</p>	სშ	

		<p>მოთხოვნილი ინფორმაციის შექმნის დასრულების სავარაუდო დრო.</p> <p>3. კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს უარი განაცხადოს მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს:</p> <p>ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე, რომელთა საქმიანობის კონფიდენციალურობა დაცულია კანონმდებლობით;</p> <p>ბ) საერთაშორისო ურთიერთობებზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ან ეროვნულ თავდაცვაზე;</p> <p>გ) სამართალწარმოებაზე, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, საგამომიებო მოქმედებებზე ან/და დისციპლინურ წარმოებაზე;</p> <p>დ) კანონით დაცულ კომერციულ და საგადასახადო საიდუმლოებაზე;</p> <p>ე) ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე;</p> <p>ვ) ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებზე, თუ ამ პირს არ განუცხადებია თანხმობა ასეთი ინფორმაციის საჯაროდ გაცემაზე;</p> <p>ზ) იმ პირის ინტერესებზე, რომელმაც კომპეტენტურ ორგანოს საკუთარი სურვილით მიაწოდა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია,</p>	
--	--	---	--

		<p>როდესაც მას ასეთი ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ეკისრებოდა, თუ ამ პირს არ განუცხადებია თანხმობა ასეთი ინფორმაციის საჯაროდ გაცემაზე;</p> <p>თ) გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, მათ შორის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი სახეობების გამრავლების ადგილებზე.</p> <p>4. ამ მუხლით გათვალისწინებული, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კომპეტენტურმა ორგანომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი და მოთხოვნილი ინფორმაციის საზოგადოების მიერ მიღების უფლება.</p> <p>5. კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილი არ არის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „დ“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე, უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება გარემოში გაფრქვევებს.</p> <p>6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,</p>	
--	--	---	--

		<p>გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანო ვალდებულია გასცეს მოთხოვნილი ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ასეთი ინფორმაციის გაცემისათვის ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს.</p> <p>7. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად არ ექვემდებარება გასაჯაროებას, გამოყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაირღვეს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უზრუნველყოს მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის განმცხადებლისთვის მიწოდება.</p> <p>8. ამ მუხლით გათვალისწინებული, კომპეტენტური ორგანოს უარი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვადისა, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, განცხადების წარდგენის ფორმის ან განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად.</p> <p>9. კომპეტენტური ორგანოს უარი გარემოსდაცვითი ინფორმაციის</p>	
--	--	---	--

			<p>სრულად ან ნაწილობრივ გაცემაზე უნდა შეიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"><li>ა) დასაბუთებას ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ;</li><li>ბ) ინფორმაციას გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.</li></ul>		
--	--	--	--	--	--

25.	<p>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი სისტემის შესაბამისად, დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდეს წვდომა სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საქმის განხილვასთან, რათა გაასაჩივრონ გადაწყვეტილებების, მოქმედებების ან უმოქმედობის შინაარსობრივი ან პროცედურული ნაწილის კანონიერება 24-ე მუხლის მიხედვით, როდესაც დაკმაყოფილებულია მოცემული პირობებიდან ერთ-ერთი:</p> <p>a. მათ აქვს საკმარისი ინტერესი;</p> <p>b. მათ უფლებას ზიანი ადგება, როცა წევრი სახელმწიფოს ადმინისტრაციული სამართლი მოითხოვს ამას როგორც წინაპირობას.</p> <p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ რა ეტაპზე, მოქმედების თუ უმოქმედობის გასაჩივრება მოხდება.</p> <p>3. რას წარმოადგენს საკმარისი ინტერესი და უფლებისათვის ზიანის მიყენება უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების მიერ დაინტერესებული საზოგადოებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნის შესაბამისად.</p>			ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>
-----	---	--	--	----	---

<p>ამ მიზნით, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და აკმაყოფილების ეროვნული სამართლით დადგენილ მოთხოვნას, მიიჩნევა საკმარისად 1 (a) პუნქტის მიზნისთვის.</p> <p>მიიჩნევა რომ ასეთ ორგანიზაციებს აქვთ უფლებები, რომლებიც შეიძლება შეილახოს 1(b) პუნქტის მიზნებისთვის.</p> <p>4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები არ გამორიცხავენ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წინასწარი განხილვის პროცედურის შესაძლებლობის არსებობას და არ აქვს გავლენა სამართლებრივი განხილვის პროცედურებისთვის მიმართვამდე ადმინისტრაციული განხილვის პროცედურების ამოწურვას, თუ ასეთი მოთხოვნა არსებობს ეროვნული სამართლით.</p> <p>ნებისმიერი ასეთი პროცედურა უნდა იყოს სამართლიანი, თანასწორი, დროული და არა დამაბრკოლებლად ძვირი.</p> <p>5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკული ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.</p>				
---	--	--	--	--

26.	<p>1. თუ წვერი სახელმწიფოსთვის ცნობილია რომ მოწყობილობის მუშაობამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა სხვა წვერი სახელმწიფოს გარემოზე, ან თუ წვერი სახელმწიფო, რომელზეც შეიძლება განხორციელდეს ამგვარი ზეგავლენა, მოითხოვს, იმ წვერმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა მე-4 ან 20(2) მუხლის შესაბამისად ნებართვის შესახებ განცხადების წარდგენა, უნდა გადაუგზავნოს სხვა წვერ სახელმწიფოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარდგენაც, მე-4 დანართის შესაბამისად, არის აუცილებელი ან უკვე წარდგენილი, მაშინვე როგორც კი ამ ინფორმაციას საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის.</p> <p>ამგვარმა ინფორმაციამ უნდა შეასრულოს ორ წვერ სახელმწიფოს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოსთვის ნებისმიერი კონსულტაციებისთვის აუცილებელი ერთგვარი საფუძვლის როლი ნაცვალგებისა და ექვივალენტურობის შესაბამისად.</p> <p>2. მათ შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოებში, წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განცხადებები ხელმისაწვდომია შესაბამისი დროის განმავლობაში იმ წვერი</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში.</p>
-----	---	--	--	--	----	---

<p>სახელმწიფოს საზოგადოებისთვის, რომელზეც შესაძლოა გავრცელდეს გავლენა. ამგვარად, მათ ექნებათ კომენტარის გაკეთების უფლება სანამ კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას.</p> <p>3. 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული კონსულტაციების შედეგები უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ მხედველობაში მიღებული განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.</p> <p>4. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა აცნობოს ნებისმიერ იმ წევრს სახელმწიფოს განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელთანაც გაიმართა კონსულტაციები 1-ლი პუნქტის მიხედვით და მიაწოდოს მას 24 (2) მუხლში მითითებული ინფორმაცია. ამ სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული საზოგადოებისთვის მის ტერიტორიაზე.</p>				
--	--	--	--	--

